პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 140 (18382) ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

15 ივნისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი.

პლენუმის მუშაობის დაწყების წინ მისმა მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს საავტომობილო კატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპული სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი სბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი სბჭოს დეპუტატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოიერს წევრს, საქართველოს სსრ მინისტრთა სბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ალექსანდრეს ძე პატარაძის ხსოვნას.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შედეგები და ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან გამომდინარე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ხასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მეორე საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. კოლბინმა.

დღის წესრიგის გამო გამართულ კამაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. აბლელიძა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცდელი მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ე. მაშუკიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა სბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური საკოორდინაციო სბჭოს თავმჯდომარე ო. ბ. ბარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ. დ. მგელაძე, მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე ნ. ტ. ტაპაიძე, რესპუბლიკის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ი. ი. ჯოსუაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიონის პირველი მდივანი შ. ვ. ჯიოევი, საქართველოს ზოოტექნიკურ-საველერინარო სახმეურნეო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი, საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. დ. აგლაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ს. ვ. ლურსმანაშვილი, საქართველოს კომპარტიის ბაბაის რაიონის პირველი მდივანი რ. ა. ლვინჯილია, ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე ბ. ე. ციწაძე, გარდაბნის მეხოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ნ. რ. უსუპოვა, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ორჯონიკიძე, ბორის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე ვ. ი. ხუციშვილი, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი ე. ნ. მალაზონია, საქართველოს კომპარტიის ნეიტლწყაროს რაიონის პირველი მდივანი ე. ა. ყანაფუსაშვილი, საგარეჯოს რაიონის სოფელ კრასნოგორაკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ი. რამენოვი, საქართველოს სსრ საეკონომიკო ტრანსპორტისა და ავტომატიზაციის სისტემათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ვ. ორჯონიკიძე, ახალციხის რაიონის სოფლის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ზ. ა. ტოროსიანი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანის“ ენერგიული დირექტორი ბ. ბ. ბუნია, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ი. ბალაბანიძე, ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე ბ. შ. დებერია.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ა. მესიანცევმ.

დასასრულ გამოვიდა ამბანაგი ე. ა. შევარდნაძე.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა საქართველოს მუშებისადმი, კოლმეურნეებს, სახალხო ინტელიგენციის, კომუნისტებისა და კომკავშრელების, ყველა შრომელისადმი.

პლენუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის დღესასწაულის მომზადებისა და მოწყობის რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის შემადგენლობა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სეკრეტარის გამგე ე. ა. კონდრატიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ბ. ი. ხლოზნოვი, ე. ი. კაბაშევი, ა. ა. გრიშკევიჩი, ა. ა. საზონოვი. (საქინფორმი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის

საქართველოში ერთ კვირას იმყოფებოდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. კ. მესიაცი.

ამხ. ვ. კ. მესიაცი ეწვია საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, მონაწილეობდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაში, გაეცნო სასწავლო-ლაბორატორიებიდან პროცესია და მეცნიერული კვლევის ორგანიზაციას აგრონომიული კათედრების ამ საქმეზლოში.

მინისტრმა დადებითად შეაფასა უმაღლესი სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მუშაობის მოგამბარობა სასწავლელში. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა კადრების მომზადებას სასურსათო პროგრამის წარმატებული გადაწყვეტისათვის.

იმავე დღეს ვ. კ. მესიაცი ესტუმრა საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლეტივს. მან დაათვალიერა საცდელი უბნები, სასათბურე მეურნეობა, გაეცნო ახალი უხვმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების სიმინდის, სოიის, ლობიოს, ბოსტნეული და სხვა სათოხნი კულტურების გაშენების სასეფესვიო მეურნეობის ორგანიზაციას.

მეორე დღეს მინისტრი ეცნობოდა დასავლეთ საქართველოს რეგიონებს. აჭარაში იგი შეხვდა ქედის რაიონის სოფლის მშრომელებს, ეწვია ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობას, ქობულეთის ჩაის ფაბრიკას. აქედან სტუმარი დიდ ყურადღებას უთმობდა მეჩაიეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის საკითხებს, გამოიკითხა, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მახარაძის რაიონში ვ. კ. მესიაცი დაწერილები გაეცნო რაფაელ ბოლიაშვილი ერთ-ერთი პირველი სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანების საქმიანობას.

მნინისტრი ესაუბრა რაიონის ხელმძღვანელებს, ფერმერებისა და ბრიგადიერების მშრომელებს, კოლმეურნეობის წარჩინებულ დოიკაცებს.

გულთადი, გულთბილი შეხვედრები გაგრძელდა ამაშის მიწაწყალზე, რომელიც ბევრი გაგებული სოციალურ-ეკონომიური ექსპერიმენტის სამშობლო გახდა, ასეთი ფართო რეზონანსი რომ მოჰყვა. სტუმარზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირების ორგანიზაციამ, ძველი აბაშის მეცხოველეობის საწარმოს სასუქებელმა მოდელმა, გეზათის მეღორეობის კომპლექსმა, მეკანიზატორ-ბრიგადირ ეროსი ბოლოკაძის ბრიგადის მუშაობამ.

ვ. კ. მესიაცი დიდი ინტერესით გაეცნო ვარეთვე გარდაბნის რაიონის ჯინდლის საკონლის გამოსაზრდელ-სასუქებელ საბჭოთა მეურნეობას, წნორის საკონლის ხორცის საწარმოო კომპლექსს, დაათვალიერა სიღნაღის რაიონის ხრინოს საბჭოთა მეურნეობის დასეტყვილი ვენახები, გურჯაანის რაიონის ლაბდუნფიტური ლიმონარიუმის მშენებლობა.

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძისა და ამბანაგ ვ. კ. მესიაცის საუბარი, რომლის დროს განიხილეს საკითხი, თუ რა როლს ასრულებს საქართველო საკავშირო სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში, რა რეზერვები აქვს სასურსათო პროდუქტების წარმოების შემდგომ ზრდას ამ პროდუქტებით ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებათა უკეთ უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ვ. კ. მესიაცი შეხვდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრებს, სამმართველოთა უფროსებს, რესპუბლიკური გაერთიანებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს ამხ. ვ. კ. მესიაცთან ერთან იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. დ. მგელაძე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სპეციალური სესია

საბჭოთა კავშირის სახელით, 269-მილიონიანი საბჭოთა ხალხის სახელით მივმართავ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას, რომელიც შეიკრიბა თავის მეორე სპეციალურ სესიაზე განიარაღების საკითხთა განხილველად.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას სესიის წინაშე. მის დღის წესრიგში მთელი რიგი უპირველესი მნიშვნელობის საკითხებია.

მაგრამ, თუ გამოვყოფთ ყველაზე მნიშვნელოვანს, ყველაზე საჭიროროტს, რაც ახლა აწუხებს ჩვენი პლანეტის ყველა კუთხის ადამიანებს, რასაც დასტიალებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა აზრი, — ეს გახლავთ ზრუნვა ომისათვის, რომ შეწყდეს სულ უფრო დამაგრებელი სახეობათა იარაღის გამუდმებული ზრდა, მივაღწიოთ გარდატეხას საერთაშორისო ურთიერთობის გახანმტკიცებლად, არ დაუშვათ ბირთვული კატასტროფა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკის თავიდათავია მშვიდობისათვის ზრუნვა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ვერავითარი წინააღმდეგობანი სახელმწიფოებს ან სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის, საზოგადოებრივი წყობილების, ცხოვრების წესის თუ იდეოლოგიის ვერავითარი განსხვავება, ვერავითარი აზწუთიერი ინტერესები ვერ დაჩრდილავენ ფუნდამენტურ, ყველა ხალხისათვის საერთო აუცილებლობას — შეეინარჩუნოთ მშვიდობა, თავიდან ავიცილოთ ბირთვული ომი.

დღეს, როგორც არასდროს, ყველა სახელმწიფოს მოეთხოვება გამაზნელი, აწონ-დწონილი მოქმედება ამ მაღალი მიზნის მისაღწევად.

ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით იღონოს ყველაფერი, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა თავიდან აიცილოს ხალხებს ბირთვული გაჩანაგების საფრთხე და სამლოო ანგარიშით გამორიცხოს კაცობრიობის ცხოვრებიდან თვით მისი შესაძლებლობა, საბჭოთა სახელმწიფო საქვეყნად აცხადებს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი კისრულობს ვალდებულებას არ იხმაროს პირველმა ბირთვული იარაღი.

ეს ვალდებულება ძალაში შედის დიუოვნებლივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან მისი გამოკვეყნებისთანავე.

რატომ დგამს საბჭოთა კავშირი ამ ნაბიჯს ისეთ პირობებში, როცა ნატოს დაჯგუფებაში შემავალი ბირთვული სახელმწიფოები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, სრულიადაც არ მალავენ, რომ მათი სამხედრო დოქტრინა არათუ არ გამორიცხავს ბირთვული იარაღის გამოყენებაში პირველობის შესაძლებლობას, არამედ ფაქტობრივად ეფუძნება კიდეც ამ საშიშ დებულებას?

ამ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობდა ამ წარუფალი და თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში განსაზღვრელი ფაქტით, რომ ბირთვული ომის დაწყება მოასწავებდა კაცობრიობის ცივილიზაციის დანგრევას და, შესაძლოა, დედამიწაზე თვით სიცოცხლის დაღუპვასაც.

მაშასადამე, სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, რომელთაც შეგნებული აქვთ თავანთი პასუხისმგებლობა მსოფლიოს სვე-ბედისათვის, უწინაეს მოვალეობად ეკისრებათ ყველაფერი აღონონ, რათა არასდროს არ იქნეს გამოყენებული ბირთვული იარაღი.

მსოფლიოს ხალხებს უფლება აქვთ მოელოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას მოაყვება სასუხო ნაბიჯი სხვა ბირთვული სახელმწიფოების მხრიდან. თუ სხვა ბირთვული სახელმწიფოებიც იკისრებენ ანალოგიურ ნათელ და მკაფიო გადაწყვეტილებას — არ იხმარონ პირველებმა ბირთვული იარაღი, ეს პრაქტიკულად ტოლფასი იქნებოდა საერთოდ ბირთვული იარაღის გამოყენების აკრძალვისა, რასაც მოითხოვს მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი უმრავლესობა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი კვლავაც ამის კვალობაზე წარმართავს თავის პოლიტიკას, თუ როგორ დაიჭერენ თავს სხვა ბირთვული სახელმწიფოები — იღებენ უარად ბირთვის ბმას, მიბაძავენ ჩვენს სახაკეთო მაგალითს, თუ შეიცდებიან დადმა დაჟანგონ მსოფლიო.

საბჭოთა კავშირის ინიციატივის მიზანია აგრეთვე სახელმწიფოთა ურთიერთობაში მეტი ნდობის მიღწევა. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში, როცა ნდობა დიახაც შეილახა ომით გამოხატობით, ვინც ცდილობს დაარღვიოს დამკვიდრებული ძალთა თანაფარდობა, მიიღწიოს სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირთან და მის მოკავშირეებთან შედარებით, დაანგაოს ყოველივე ის პოზიტიური, რაც დაძაბულობის შენელების პოლიტიკას მოაქვს.

ატომური ბომბის ყოფილი მონოპოლიის დროიდან შემორჩენილ სამხედრო-პოლიტიკურ სტერეოტიპებს უკვე გაუვიდათ ყავლი. დღევანდელობის რეალობანი მოითხოვენ პრინციპულად სხვაგვარ მიდგომას ომისა და მშვიდობის საკითხებისადმი. აქცია, რომელსაც ახლა მიმართავს საბჭოთა კავშირი, აადვილებს შესაძლებლობას სხვაგვარად შეეხედოთ შეიარაღებას, მეტადრე ბირთვული შეიარაღების შეზღუდვა-შემცირებასთან დაკავშირებული პრობლემების მთელ კომპლექსს, აადვილებს მთლიანად განიარაღების საქმეს.

ის უდიდესი მიღწევები, კაცობრიობის შემოქმედებითმა და ტექნიკურმა გენიამ რომ მოიპოვა, ხალხებს შესაძლებლობას აძლევს დაიწყონ ახალი თავი თავიანთ ისტორიაში. უკვე ახლა გვაქვს ტექნიკურად განხორციელი შესაძლებლობანი ამისათვის, რომ შეეფიდეთ ისეთი საკაცობრიო პრობლემების გადაჭრას, როგორიც არის შიმშილის, ავადმყოფობის, სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა მშვიდობიან ზრახვებს ემსახურებოდეს.

საბჭოთა კავშირი კისრულობს ვალდებულებას არ იხმაროს პირველმა ბირთვული იარაღი, ვინაიდან სწამს საღი აზრის ძალა, სჯერა, რომ კაცობრიობას ძალუძს თავიდან აიცილოს თვითმოსპობა, უზრუნველყოს მშვიდობა და პროგრესი ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

მინდა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე შეკრებილი სახელმწიფოთა წარმომადგენლების ყურადღება მივაპყრო შემდეგ საკითხს.

იმ ღონისძიებათა ძებნაში, რომლებიც რეალურად შეიჭრებდნენ გამალებულ შეიარაღებას, ბევრი სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე უკანასკნელ ხანს მიმართავს გაეყინვის იდეას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბირთვული პოტენციალების შემდგომი ზრდის შეწყვეტის იდეას. ყველაფერი როდი ესაბუთებოდა ერთმანეთს ამის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებებში, მაგრამ მთლიანად, ჩვენი აზრით, მათი გეზი სწორია. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი გამოხატავენ ადამიანთა ღრმა შეშფოთებას თავიანთი ბედისათვის. ხატოვნად რომ ვთქვათ, ხალხი ხმას ძალეკვს ქვეყნად უზენაესი ღირებულების — ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას.

ბირთვული არსენალების ორმხრივი გაყინვის — როგორც მათი შემცირების, ბოლო სამლოო ანგარიშით — მათი სრული ლიკვიდაციის ჯერი პირველი ნაბიჯის გადადგმის იდეა ახლომდელია საბჭოთა თვალსაზრისისათვის. უფრო მეტიც, ჩვენს ქვეყანას ეკუთვნის კონკრეტული წინადადებებიც, რომელთა მიზანია შეწყვეტილი ბირთვული ფიფრალება როგორც ოდნავ-ბრივად, ისე თვისებრივად.

და ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც, ჩვენი აზრით, ვერ აუვლის გვერდს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

მთელ ამ საფრთხესთან ერთად, ბირთვულ იარაღს რომ მოაქვს, არ უნდა დავკვიწყდეს არც ის, რომ ხახელმწიფოთა არსენალებში არსებობს აგრეთვე მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებანი, მათ შორის, ქიმიური იარაღი. შემზარავი, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ხაკმარისია ხულ რამდენიმე კილოგრამი მომწამვლელი ნივთიერება იმ ათეათასობით ტონიდან, ზოგიერთ ქვეყანას რომ აქვს თავის შეიარაღებაში. ისინი მუხრი გაავლო რამდენიმე მილიონ კაცს. არადა, არც ამას ხკერდებიან და კიდევ უფრო ხაზარეულ მომაკვდინებელ ხახეობათა ქიმიური იარაღის წარმოების ახალ პროგრამებს ადგენენ.

საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რათა არ გავაჭაპაროთ ქიმიური იარაღი დედამიწაზე. საბჭოთა კავშირი ამის მტკიცე მომხრეა. ჩვენ მზად ვართ დიუოვნებლივ მოვილაპარაკოთ ქიმიური იარაღის სრული აკრძალვისა და მისი მარაგის ლიკვიდაციის შესახებ.

მთლიანად საბჭოთა კავშირი ამის მომხრეა, რომ განვაგრძოთ წინსვლა ყველა მიმართულებით, სადაც ისახება შეიარაღების შეზღუდვისა და კარდინალური შემცირების შესაძლებლობანი — იქნება ეს ბირთვული იარაღი, ხასობრივი მოსპობის სხვა ხახეობათა იარაღი, თუ ჩვეულებრივი შეიარაღება. არ არსებობს ისეთი ხახეობის იარაღი, რომელის ორმხრივ საფუძველზე შეზღუდვისა თუ აკრძალვისათვის არ იყოს მზად საბჭოთა კავშირი.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხთა სპეციალური სესია შეგიდის იმპულსს მიანიჭებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტაკს, რეალური განიარაღების პრაქტიკულ ღონისძიებებზე გადასვლას. ამის მეოხებით იგი გაამარადოს იმედებს, ხალხები რომ ამყარებენ ეხოდენ წარმომადგენლობის ფორუმზე.

ვუსურვებ სესიის მონაწილეებს ნაყოფიერ მუშაობას ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი.

ამბავი ძმობისა

ამ რუბრიკით გაზეთმა „სოვეტსკაია როსიამ“ სსრ კავშირის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით გამოაქვეყნა საქართველოსადმი მიძღვნილი მასალები. გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის, პოეტ-აკადემიკოს ი. აბაშიძის სტატია „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“; მეორე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს რესპუბლიკის კულტურულ-ეკონომიკური მიღწევების ამსახველ მასალებს. გვერდში ვრცელი ადგილი უჭირავს გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის ს. დავთიაშვილ ვრცელ ნარკვევს „მაღალი განდგომილების ნითხო“; გამოქვეყნებულია აგრეთვე დ. ვეფხვინძის „რით შეცვლიან ყოლბეთს“; გ. ზღუდაძის „თქვენ შეიდგი, მისტერ ნელსონ!“, ა. კუბოიანისა „რუსიას ზღაპრული სამყარო“, კ. ცხომელიძის „მცირე მდინარეთა პოტენციალი“ და სხვ. აქვე დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბაძის, ტიციან ტაბიძისა და ოსიფ მრაშვილის ლექსები, ფოტოილუსტრაციები.

მკითხველს ვთავაზობთ „სოვეტსკაია როსიაში“ გამოქვეყნებულ ი. აბაშიძის სტატიას „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“.

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი

ამ ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით კვლავ ვნახე დოკუმენტური კადრები, რომლებზეც ზემოთ აღვსილის ბიდროელექტროსადგურის შენებლობაა აღბეჭდილი. ხალხი ნიჩბებით, ნერაქვებით მუშობს, ურმებში ხარები და ცხენებია შებმული... არვითარი ტექნიკა. სამაგიეროდ, რამდენი იყო ჭეშმარიტი ენთუზიაზმის ეს ფაქტები გადაღებულია სსრ კავშირის შექმნის წელს, 1922-ში, როცა ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობაზე გაისმა სიტყვები: „საბჭოთა რუსეთმა 750 ათასი ოქროს მანეთი გაიღო თბილისის მახლობლად ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად.“ ზაპესი — ვოლხოვის ელსადგურის შემდეგ სამძლავრით მეორე ჰიდროელექტროსადგური, აშენდა რკეორდულ ვადაში — ხუთ წელიწადში.

მახსოვს, 1927 წელს თბილისში ზაპესის გახსნაზე მ. ი. კალინინი ჩამოვიდა. ელექტროსადგურის შთაბეჭდილებათა წიგნში საკავშირო მმასახლისმა ჩაწერა: „ეხსნით ჩვენს დღეებში პირველ ჰიდროელექტრულ სადგურს. თავისი მნიშვნელობით იგი მომავალ დიდ ჰიდრონგაგებობათა ნამდვილი პიონერია“. მ. ი. კალინინმა პირველმა ამოძქმედა სადგურის ტურბინა, რომელიც ახალგაზრდა რესპუბლიკის დაკვეთით დაამზადა ლენინგრადის ლითონის ქარხანამ. ყოველივე ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის დაუვიწყარი ფურცლები, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მატიანის ფურცლები!

ელექტრიფიკაციის დასაჩქარებლად რუსეთმა საქართველოს კრედიტის სახით გამოუყო კიდევ მილიონი ოქროს მანეთი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა უმაგალითოდ მოკლე ვადაში აღგვედგინა მეურნეობა: საბჭოთა ხელისუფლების პირველმა ორმა წელიწადმა სიცოცხლე შთაბერა ორ ათეულ დიდ სამშენებელ საწარმოს, რეკორდულ ვადაში აშენდა ათობით შახტი, მაღარო, მამდიდრებული ფაბრიკა, პირველად მოიპოვეს ტონობით ქართული ქვანახშირი, მანგანუმი, სპილენძი. „საქართველო დუღს და ადგმოდუს, ჩქარობს, ახლებურ ყაიდაზე მშენებლობას ეშურება. იგი აღსავსეა იმავე სიკაკვესასთან და ახალგაზრდული ენერგიით, იმავე სიმტკიცითა და შეუპოვრობით, რომლებითაც ჩვენ ვიყავით ატანილნი დაუვიწყარ ოქტომბრის დღეებში“, წერდა ამასთან დაკავშირებით დ. ფურმანოვი, რომელიც იმ წლებში ბრძოლა გვესტუმრა საქართველოში.

**საერთოდ, 20-იანი წლები ჩემს ბიოგრაფიაში შეიდგა ბევრი დაუვიწყარი შეხვედრის მეოხებით. მახსოვს თბილისში პაპანაქება სიცხე იყო, როცა მაქსიმ გორკი ეწვია ქალაქს, სადაც ოდესღაც დაინყო თავისი ლიტერატურული მუშაობა: „ადნიეერებად ნუ ჩამომართმევთ ცოტაოდენ ლირიკას, და მინდა რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ ჩემს უშრეტ სიმპათიაზე თქვენდამი და თქვენი ქვეყნისადმი“, — თქვა მან თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სხეიბის ხსდომაზე. მეგობრობის ძიგლად დარჩა სტრიქონები და ფოტოები. ცნობილი რუსი კომპოზიტორი მ. ნ. იპოლიტოვ-ივანოვი ითხოვდა საქართველოში გამოგეზავნათ, რათა დახმარებოდა რესპუბლიკას თბილისის კონსერვატორიის მუშაობაში. მის განცხადებას განათლების სახალხო კომისარმა ა. ლუნაჩარსკ

მ ასეთი რეზოლუცია დაადო: „ამ სამუშაოს შესასრულებლად მივლინება სავსებით მიზანშეწონილად მიმაჩნია“. ერთ წელიწადს იმუშავა საქართველოში იპოლიტოვ-ივანოვმა და ამ ერთ წელიწადში ძალზე ბევრი რამ გააკეთა ქართული ეროვნული ხელოვნების განვითარებისათვის.**

ამ ფაქტის გვერდით დგას სხვები: მრეწველობის 30 ახალი დარგი შეიქმნა პირველი ხუთწლედების მანძილზე ნინათ მხოლოდ და მხოლოდ სამიწათმოქმედო საქართველოში; აშენდა 815 ახალი სამრეწველო ობიექტი, ხოლო ამან, თავის მხრივ, სიცოცხლე შთაბერა ახალ სამრეწველო ცენტრებს, რაიონებს, განამტკიცა მუშათა კლასის რიგები. გაჩნა შესაძლებელი იქნებოდა ასეთი რამ, ძმურად რომ არ ამოგვდგომოდა მხარში რუსეთი მთელი თავისი სახსრებით, კადრებით, ტექნიკით, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მთელი თავისი სულითა და გულით: გამოცდილებით, ცოდნით, ენთუზიაზმით. ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი — ყოველმა ქართველმა იცის ამ ხალხური სიბრძნის სიტყვები. ისინი ისტორიით არის შემონმებული, და თითოეული ჩვენგანის ბიოგრაფიით — დამკვიდრებული. ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ თავის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძძრაობაში ქართველი ხალხი ნიადაგ ელტოდა დიდ რუს ხალხთან ერთობას, რომ წარსულის მოწინავე ქართველი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სულდგმულობდნენ იმავე იდეებით, რომლებსაც მიუძღვნეს თავიანთი სიცოცხლე პუშკინმა, გრიბოედოვმა, ლერმონტოვმა; რომ ქართველმა მა ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ი. გოგებაშვილმა და სხვებმა ეერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის იდეების გაფლენით შეადგინეს სრულიად რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის მძლავრი ქართული რაზმი და მადლიანი ნიადაგი შეუქმნეს მარქსიზმის გავრცელებას საქართველოში. საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის უცნო იყო ერეროვნული შეზღუდულობა, კარჩაკეტილობა, სეპარატიზმი. მისი პატრიოტული იდეები ჭეშმარიტად ინტერნაციონალური იდეებია.

ბუნებრივია, საბჭოურ ხანაში ეს იდეები გახდა მთავარი, დამამშვენებელი ცხოვრების ყველა გამოვლინებისა. არ შემიძლია, აქვე არ გავიხსენო კიდევ ერთი ფურცელი ქვეყნის, რესპუბლიკის ბიოგრაფიიდან და ამავე დროს ჩემი ბიოგრაფიიდანაც. კოლხეთი... ოდესღაც მიანნდათ, რომ ამ დამლუპველ მხარეში კაცს არ ეცხოვრებოდა. „აქაური ციება საშინელია. მას ჯერ კიდევ ჰიპოკრატე იხსენიებდა“, ვკითხულობთ გასული საუკუნის მოგზაურთა ჩანაწერებში, რომლებიც კოლხეთში ყოფილან. კოლხეთის მალარიის მომაკვდინებელი სუნთქვა უგრძვნიათ ჩემი თაობის ადამიანებსაც — კოლხეთის ცხოვრებაში უმაგალითო გარდატეხა ხომ ჩვენ თვალწინ მოხდა ოდდაათიან წლებში. თავდაპირველად მოთოკეს სენი, ადამიანებს სიცოცხლეს რომ უწამლავდა. შემდეგ კი ადამიანმა დაიწყო ჭაობებზე შეტევა. მე თავადვ ვარ მოწმე იმ დაუვიწყარი ისტორიული მოვლენისა, როცა პირველმა მოსახლემ შედგა ფეხი კოლხეთის დაბლობის მნიშვნ. ინ წლებში მე ვწერდი კოლხეთის მხარეში მიმდინარე გარდაქმნებზე და იმდროინდელი ლექსები დღესაც ძალზე ძვირფასია ჩემთვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, კოლხეთის მთელი ეპოქა ყველაზე სრულად აისახა პაუსტოვსკის ამავე სახელწოდების მოთხრობაში. ვინ მოთვლის, რამდენჯერ შეეხედნიარ დასავლეთ საქართველოს გზებსა და გზაჯვარედინებზე კონსტანტინე გიორგის ძეს, უბის წიგნაკი და ფანქარი რომ მოემარჯვებინა ხელში.

**ამ ცოტა ხნის წინათ კვლავ მომიხდა იმ სამახსოვრო ადგილებში ყოფნა. აი, ის პატარა სოფელი ოდიში, სადაც 1932 წელს მიმავლინა რესპუბლიკის კომკავშრომა ამ ადგილებისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — ჩაის პროპაგანდისტად. ბევრს ეეჭვებოდა, რომ ნაჭაობარზე იხარებდა ისეთი ნაზი მცენარე, როგორიც ჩაია. ძნელი საქმე იყო მათი დარწმუნება. თანაც, მართალი გითხრათ, იმ წლებში ვერც

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, ფილარმონიის, ფილ. ... ...

საზეიმო აპოთეოზი...

უჩვეულო, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო მხატვრულ-საზოგადოებრივი მოვლენის მოწმენი გავხდით ამ ხუთი წლის წინათ: ახალმა ქართულმა ოპერამ — ო. თაქთაქიშვილის „მთავარის მოტაცებამ“ თავისი პირველი „ნათლობა“ მიიღო მოსკოვში, ჩვენი ქვეყნის მთავარი მუსიკალური თეატრის, სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე.

სპექტაკლმა ფართო საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა, იგი დაჯილდოდა სსრ კავშირის ულუღუღის სამინისტროს სპეციალური პრემიით და დღესაც თეატრის რეპერტუარშია. სულ ახლახან კი ოპერის ავტორს, — გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს ოთარ თაქთაქიშვილს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — ლენინური პრემია მიენიჭა.

„ოპერის პრემიერის შემდეგ გასული ხუთი წლის მანძილზე არაერთმა ქართველმა მუსიკის მოყვარულმა ნახა იგი დიდი თეატრის სცენაზე, მოისმინა რადიოი თუ ტელევიზიით და შეეძინა წარმოდგენა ამ შესანიშნავ სპექტაკლზე, მის მუსიკასა და შემსრულებლებზე. ინტერესს ხსენებული სპექტაკლისადმი აძლიერებდა ის ფრიად სასიამოვნო გაჯერეობა, რომ მთავარ როლებს „სტულებდნენ ჩვენი თანამემამულენი — დღეს დიდი თეატრის წამყვანი სოლისტები ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქასრაშვილი.

ამასობაში „მთავარის მოტაცება“ თბილისშიც დაიდგა. მომღერლების ბრწყინვალე თანავარსკვლავედის — ნ. ანდღუღაძის, ე. ტატიშვილის, ი. შუშანიას და ვ. გეწაძის მონაწილეობით, რის წყალობითაც მოწმენი გავხდით სამაგალითო შემოქმედებითი პაექრობისა, როდესაც შესანიშნავმა „მოსკოვურმა წყვილმა“ — ზ. სოტკილავამ და მ. ქასრაშვილმა — მონაწილეობა მიიღო თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლში, ხოლო მოსკოვში დიდი თეატრის სცენაზე ღრმად შთამბეჭდავი ძალითა და ეკსპრესიით შეასრულა კაც ზვამბაიას პარტია ჩვენგან უფროოდ წასულმა ირაკლი შუშანიამ. აქვე უნდა ვთქვაროთ ნუნუ გაბუნიაც, რომელმაც ორგზის შეასრულა თამარის პარტია დიდი თეატრის სცენაზე.

ასეთი გახლავთ თავისებური „პრესტიჟია“ იმ ღირსშესანიშნავი მოვლენისა, რომელსაც ეძღვნება ეს წერილი, დიახ, „მთავარის მოტაცების“ მოსკოვში დადგმის ხუთი წლის თავზე ჩვენმა ფესვიანს მოყვარულებმა დიდი თეატრის ეს გამჩაუერებული ნამუშევარი თბილისში იხილეს.

თავის დროზე, საკავშირო პრესაში და ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთებში არაერთი წერილი დაიბეჭდა, რომლებშიც მაღალი შეფასება მიეცა ო. თაქთაქიშვილის მუსიკასა და დიდი თეატრის კოლექტივის ნამუშევარს. სარეცენზიო სპექტაკლმა მთლიანად დაადასტურა ეს შეფასება და იგი შეიძლება გავიგრძელოთ მის ყველა რგოლზე, იქნება ეს სარეჟისორო თუ სადირიჟორო ინტერპრეტაცია, სოლისტები, გუნდები, ორკესტრი, მხატვრული გაფორმება.

უდავოა, რომ სპექტაკლის სადადგმო კოლექტივის ყველაზე ავტორიტეტულ ფიგურად გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ბ. პოკროვსკი გვეკითება, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ჩვენს რეკომენდაციებს არ საჭიროებს. დაეძენი მხოლოდ, რომ იგი საქართველოს და ქართული კულტურის დიდი მეგობარი და პატივისმცემელია და ო. თაქთაქიშვილთან მას მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებს (შარშან მოსკოვის კამერული მუსიკალური თეატრის სცენაზე ბ. პოკროვსკიმ დადგა ქართველ კომპოზიტორის ლირიკულ-კომიკური ოპერა „მუსსი“).

ისეთი მრავალფეროვანი, შეიძლება ითქვას, „პოლიფონიური“, დრამატურგიული და მუსიკალური მასალის შემცველი ნაწარმოებები, როგორიც თაქთაქიშვილის ოპერაა, უკარნახებდა დამდგმელს მოქმედების პლანირებას განმაზოგადებული სცენური პლასტებისა და მსგავი მხატვრული მუტრიზების მეშვეობით. სწორედ ასეთია პოკროვსკის სპექტაკლიც: მონუმენტური, მკაფიოდ ჩამოქნილი, შინაგანად დამუხტული. ოპერის მთავარი დრამატული კოლიზია — ძველი წარმავალი სამყაროს განწირულება და ახლის გამარჯვების ისტორიული აუცილებლობა — ძალზე რელიეფურად არის გამოკვეთილი სპექტაკლში. რეალისტური სიმკვეთრითა და ფსიქოლოგიური მრავალმხრივობით არის გამოკვეთილი მთავარ გმირთა სცენური სახეები. ხასიათების მკაფიო ინდივიდუალიზრება შერწყმულია მხატვრულ განზოგადებულობასთან და, თუ შეიძლება ასე ითქვას, კრებითობასთან (უწინარესად, ეს შეეხება არზაყანისა და თარაშის სახეებს). ფართო პლანის ეპიკურ-დრამატული ტილო — ასეთად წარმოგვიდგება თაქთაქიშვილის ოპერა პოკროვსკის სარეჟისორო გადაწყვეტით.

ერთადერთი შენიშვნა, რომელიც გვსურს გამოთქვამთ დადგმის მიმართ, შეეხება ოპერის ფინალურ სცენას. ჩვენი აზრით, ფინალის ის სცენურ-მუსიკალური ვარიანტი, რომელიც მოცემულია ავტორისეული თავდაპირველი რედაქციით, და, შესაბამისად, თბილისის საოპერო თეატრის დადგმით (რეჟისორი — გ. ეორდანია), უფრო ორგანულად არის დაკავშირებული ლიბრეტოს პირველწყაროსთან — ე. გამსახურდიას გახეთქულ რომანთან და, ამდენად, უფრო დამაჯერებლადაც გამოიყურება.

ბუმბერაზად უმაღლეს დონეზეა სპექტაკლის მუსიკალური მხარე, რაც, უპირველესად, დირიჟორს — რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს ა. ლაზარევს დამსახურება. არაერთგზის გამოგონილი ოპერის ავტორისგან და საქმეში ჩახედული სხვა პირებისაგან, თუ როგორი ენთუზიაზმით, შემოქმედებითი შემართებით და გულისყურით შუამიდა ახალგაზრდა დირიჟორი სპექტაკლის მზადების საწყის ეტაპებზე. დღესაც ოპერის იგი დიდი ტემპერამენტითა და მიზანსწრაფულობით უძღვება. თაქთაქიშვილის რთული და მრავალპლანიანი პარტიტურა მსმენელის წინაშე წარმოჩნდება როგორც ერთიანი მხატვრული ქსოვილი ზუსტად განაწილებული მუსიკალური აქცენტებით, დინამიკური ალმასცლებითა და კულმინაციებით.

მაგრამ დირიჟორის წარმატება ლაპარაკის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მის განკარგულებაშია ექსტრა კლასის სიმფონიური ძალები, — დიდი თეატრის განეკუთვნილი ორკესტრი, გუნდი და, რაღა თქმა უნდა, სოლისტები.

მომღერლები, როგორც ცნობილია, თბილისელ მსმენელს ვერ გააკვირვებ, მაგრამ ორკესტრი... ორკესტრი თავისი ხავერდოვანი ბანგებით, „ველვეტიანი“ სიმებიანი ჯგუფით, ვირტუოზული ხის ჩასაბერი და კაშკაშა ლითონის საკრავებით, მართლაც რომ, დიდებული!

რუსულ საოპერო თეატრებში ტრადიციულად ძალზე ძლიერია გუნდი. ამ მხრივ კი კონკურენტი არა ჰყავს დიდი თეატრის ბუნებს (მთავარი ქორმეისტერი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. რიბნიკოვი), რაშიც ერთხელ კიდევ დავრწმუნდით. ამ შემთხვევაში ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ, ყველაფერთან ერთად, გუნდი მოცოდნილია ქართული მრავალხმიანი კულტურის უფლდრეული სპექტრის ფაქიზი შეგრძნებითა და განცდით.

ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქასრაშვილი! მსოფლიოს ნებისმიერი თეატრი ინატრებდა თავის დასში ამ დიდებულ წყვილს და, განა გასაკვირია, რომ ისინი ასეთი შთაგონებითა და არტისტული გზნებით (რომ ალარაფერი ვთქვათ, უმაღლეს ვოკალურ ოსტატობაზე) ამსრულებენ ქართულ ოპერაში მთავარი გმირების — არზაყანისა და თამარის როლებს. მომხიბლავი ტემბრი, უმაღლესი მუსიკალურობა, დრამატული ტემპერამენტი — ამ კომპონენტებისაგან ყალიბდება ჩვენი შესანიშნავი მომღერლების ხელოვნება და ეს არის მსმენელზე მათი მაგიური ზემოქმედების „საიდუმლოებაც“. ეს მეორეა, „ისევნდიან, გაკკვირდიან!“.

თარაშის როლის შემსრულებელი ი. მოროზოვი სახელოვანი ქართველი მომღერლის დავით გამრეკელის ნამოწაფარია. იქნება ამით აიხსნება მისი ინტონირების რბილი „ქართული“ მანერა? მომღერლის მუსიკალურობამ, ხავერდოვანმა ხმამ ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

არზაყანის დედის ღრმად შთამბეჭდავ სახეს ქმნის რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ლ. ნაკატინა. მის შესრულებაში დრამატული ძალა და ეკსპრესია შეერთებულია შინაგან თავშეკავებულობასა და ეკლიოშობილებასთან. მოკლედ, ეს არის ქართველი დედის გაცოცხლებული სახე. დადებიოს შეფასებას იმსახურებენ აგრეთვე კაც ზვამბაიას, ტარიელისა და მახვშის როლის შემსრულებლები გ. სულუნიოვი (თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ეორეანი და პ. ბლუმკინი, თუმცა არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ ამერიდან ვერ ვიხილეთ ზვამბაიას როლის პირველი და სწორუპოვარი შემსრულებელი, ჩვენი დროის გამოჩენილი მომღერალი ვეგენი ხესტერენკო.

რამდენიმე სიტყვა სპექტაკლის ქორეოგრაფიის და მხატვრულ გაფორმებაზე. პირველი მთავარი რესპუბლიკის სახალხო არტისტს, დასავლეთ საქართველოს ქორეოგრაფიულ ფოლკლორის შესანიშნავ მცოდნეს ბ. დარაბელიძეს ეკუთვნის (მანვე დადგა ცეკვები თბილისის საოპერო სცენაზეც). აქ უნდა მოვიგონოთ, რომ კომპოზიტორის ჩანაფიქრით, ოპერის ერთ-ერთი საკვანძო სცენა (არზაყანის მოკვლის მცდელობა) პლასტიკური ფორმით არის გადაწყვეტილი, და ამდენად, ცეკვა ქმედითის დრამატულ ფუნქციის იძენს. იგი, მართლაც-დაც, მახვილშეგრეულად არის მოფიქრებული, ზოლო შემსრულებელთა ჯგუფიდან უნდა გამოიყოს მოცეკვავე ვ. აბროსიმოვი, რომელიც ძალზე პლასტიკურ, მკაფიოდ სახასიათო და გამომსახველ სცენურ სახეს ქმნის.

და ბოლოს — სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე, რომელიც რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარს ვ. ლევენტალს ეკუთვნის. მისი კომპოზიციური და კოლორიტული გადაწყვეტა უთუოდ ესახეზეისება მუსიკის მკაცრ დრამატულ ტონუსს. საკმაოდ დიდაჯერებლად გამოიყურება სცენის მოძრავი პლაშტეტის გამოყენება, რითაც მხატვარი ცდილობდა თვალნათლივ გადმოეცა ოპერის ძირითადი იდეა, ძველის ნგრევითა და ახლის დამკვიდრების სიმბოლიკა.

თბილისელი მსმენელი უდიდესი გულისყურით და ინტერესით გაეცნო საბჭოთა კავშირის მთავარი მუსიკალური თეატრის შესანიშნავ ნამუშევარს და მხურვალე ტაშით დაჯილდოდა სპექტაკლის მონაწილენი.

გულთბათ ტორაძე.

●●

სურათზე: რუსეთის სფსრ დამსახურებული და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მაყვალა ქასრაშვილი თამარის როლში (ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მთავარის მოტაცება“).

ვ. ბენენსონის ფოტო.

ჯაი ყმის ასაღდენი ოცნება

საბჭოთა ალპინისტთა პირველი ექსპედიციის მიერ ჩვენი დედამიწის უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის (8848 მეტრი) წარმატებით, მანამდე გაუკვლავი სამხრეთ-დასავლეთის კედლის კონტრფორსით დალაშქვრა უთუოდ დიდი მღელვარეა: თერთმეტმა ალპინისტმა შეიდა ფეხი ამ მეტად ბობოქარი და მრისხანე მთიანეთის უმაღლესი მწვერვალის თხემზე. ახლა ყველმ იცის იმათი სახელები, ვინც საბჭოთა მთამსვლელობის მატიანეს, მართლაც რომ, ოქროს ფურცელი შემატა. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ დიდებულ გამარჯვებაში არსებითი წვლილი შეიტანეს ექსპედიციის სხვა წევრებმაც, მათ შორის ქართველმა მთამსვლელმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, 36 წლის აკაკი ხერგიანმა. იგი და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ოთარ გიგინეიშვილი ჩვენი გაზეთის დღიურანელი ნომრის სტუმრები არიან.

„კომუნისტის“ სპორტულმა მომხმხილველმა ჯ. ენუქიძემ პირველს ინტერვიუ ჩამოართვა, ბატონმა ოთარმა კი ეს საუბარი კომენტარებით შეავსო.

აი ჩვენი სტუმრების ნაუბარი:

— ჯერ კიდევ ლაშქრობის დაწყებამდე ვიცოდით, რომ სხვა საბჭოთა ალპინისტებთან ერთად სწორედ თქვენ, ხერგიანელთა სახელგანგებული გვარის წარმომადგენელს გხვდით წილად ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა. ველოდით ცხობებს თქვენს ხსენებაზეც, როგორც ამბობენ, სჯობს გვიან...

აკაკი ხერგიანი: — მე მოეწერეშე ჯგუფს სრულფასებიანი წარმომადგენელი გახლდით და ამასთან ერთად მეტად სპპატიო და არცთუ იოლი დავალება მქონდა: კინოფირნი ალმებებეს ყველაფერი, რაც ამ უთოლეულ ასლასთან იქნებოდა დაკავშირებული. როგორ შევასრულე ეს მეორე დავალება უშუალოდ კინომასალის ნაწილს შემდეგ გამოჩნდება. რაც შეეხება უმთავრესს — მწვერვალის დალაშქვრის, ამაში ძალზე გაკარვეველულმა ამინდმა შეიტანა კორექტივი: საქმე ის არის, რომ მწვერვალზე ასვლა დაგეგმილი ოთხ ჯგუფად, თითოეული ჯგუფში 2-2 კაცი იყო შეიყვანილი, შემდეგ პატარა ცვლილება მოხდა. ჯერ ოთხმა ფიქმა დალაშქრა ევერესტი და ბოლოს ერთმა სამეულმა. მოიერიშე ჯგუფებიდან დაკრიმი შვიდნი, რომლებმაც მწვერვალის ბოლო წერტილი ვერ ენახეთ: ერთი ავად გახდა, ერთი ნაპრალში მოხვდა და შეშეკვეა ასვლა, ორიც 8500 მეტრზე მოწყობილი ბანაკიდან დაბრუნდა უკან. დაერჩინ სამეული — მე, მოსკოველი ნიკოლაზ ჩორნი და ლენინგრადელი ვლადიმერ შოკინი. წუთი წუთზე ველოდით იმ სანუკვარი ამბის დადგომას, როცა მწვერვალზე ასვლის დაწყების უფლება მოგვეცემოდა. ამასობაში ამინდი გაფუჭდა და ექსპედიციის ხელმძღვანელობის ბანკრეულებით მწვერვალის ალება შეწყდა. აი, ასე მოგვიყარა ხელი ევერესტის ბოზთალა „ხასიათმა“. მით უფრო მწყდება გული, რომ საბაზო ბანაკიდან, რომელიც 5300 მეტრზე იყო გაშლილი, შვიდჯერ გავედი, მთვარ ხუთი — 6100-7300 მეტრ სიმაღლეებამდე და ორიც — 7900 მეტრზე. ყოველი ეს გასვლა დაკავშირებული იყო თანაგუნდელთა ასვლების კონფიფირნ ალბეშეფებთან, ერთი, ბანაკიდან მეორეში ტვირთის გადატანასთან, წინ მამავალ მოიერიშეთა გამბნეველებასთან...

